

## საქართველოს ორგანული კანონი

### „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში (სსმ №2, 09.01.2006., მუხ.12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 46-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თვითმმართველი ერთეულის ქონებას განეკუთვნება:

- ა) ამ კანონით თვითმმართველი ერთეულისადმი მიკუთვნილი ქონება;
- ბ) სახელმწიფოს მიერ თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული ქონება;
- გ) თვითმმართველი ერთეულის მიერ საქართველოს კანონმდებლობით შექმნილი ან შეძენილი ქონება.“.

2. 65<sup>1</sup> მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6<sup>2</sup> და 6<sup>3</sup> პუნქტები:

„6<sup>2</sup> ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას წარმოადგენს ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ან/და თვითმმართველობის მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები ან/და მათი ნაწილები, რომლებზეც საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების უფლება, მათზე დამაგრებული მიწით.

6<sup>3</sup> ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად საჯარო რეესტრში საქართველოს მთავრობის თანხმობის საფუძველზე დარეგისტრირდეს ის საერთო საცხოვრებლები, რომლებიც ტექ.აღრიცხვის ბიუროში აღრიცხულია, როგორც საერთო საცხოვრებელი, აგრეთვე იმ საერთო საცხოვრებლების შენობა-ნაგებობები ან/და მათი ნაწილები, რომლებზეც საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების უფლება.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*